დამოწმებულია კვალიფიცური ელექტრონული ბეჭდით
საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia
Digitally signed by LEPL National Bank Of Georgia
Date: 2023.06.19 16:48:16 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 148/34

16 06 23 148/34

ქ. თბილისი
14 ივნისი, 2023 წელი

შემსყიდველი: ს.ს.ი.პ. „საქართველოს ეროვნული ბანკი", აღმასრულებელი დირექტორის ვახტანგ ბურკიაშვილის სახით;
მისამართი: ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1, თბილისი 0114, საქართველო;
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 824 148;

მიმწოდებელი: ფ/პ ჯემალი ბერიძე;
მისამართი, ტელეფონი: ქ.ბათუმი, თბილისის ქუჩა, N 27, ტელ: 577 35 93 31;
საიდენტიფიკაციო კოდი: 61006074459;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თი ბი სი ბანკი'', ანგარიშის №GE50TB7673645061100059.

ერთის მხრივ - შემსყიდველი, და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვით, შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის შენობაში (მდებარე, ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის N27 ში) ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების (**CPV კოდი 45310000**) შესყიდვა (შემდგომში ,,შესყიდვის ობიექტი'') .

1.2. მომსახურების აღწერილობა და განფასება:

№	მომსახურების აღწერილობა	განზომილება (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	1	2000.00	2000.00
	სულ:			**2000.00**

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია სამუშაოს შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2.2. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სებ–ის შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი და/ან ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 3. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა სამუშაოს შემსყიდველისათვის გაწევა უნდა განახორციელოს, ერთიანად ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის N27-ში ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს **2023 წლის 30 ივნისისა.**

3.2. სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. სამუშაოს მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.4. შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების ადგილია ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის N27.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზის მითითებით.

3.6. შემსყიდველის მხრიდან 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს **2000.00 (ორი ათასი) ლარს** („ხელშეკრულების ფასი").

4.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს სამუშაოს სრულყოფილად შესრულებისთვის აუცილებელ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადსა, მოსაკრებელს და დასაქმებულის სახელით განხორციელებულ საპენსიო შენატანს.

4.3. ხელშეკრულების 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად სამუშაოს შესრულებიდან და მიმწოდებელის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან (იმისდამიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი **5. მხარეთა უფლება–მოვალეობები.**

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებული სამუშაო.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი იძლევა იმის გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი იქნება შესაბამისი და შესაფერისი იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული.

6.2. მიმწოდებელი იძლევა იმის გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო იქნება შესაბამისი ტექნიკურ მოთხოვნებთან და შეთანხმებული შესაბამის უფლებამოსილ სამსახურებთან.

6.3 სამუშაოს შესრულების შემდეგ თუ აღმოაჩნდება დეფექტი/ხარვეზი, რომელიც გამოწვეულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს უხარისხო შესრულებით ან გამოყენებული მასალების დაბალი ხარისხით, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით გამოსწოროს აღმოჩენილი დეფექტი/ხარვეზი, არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა შემსყიდველის შესაბამისი შეტყობინებიდან.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

7.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0,1%–ის ოდენობით.

7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილება შეადგენს 30 დღეს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება, ვალდებულებების შეუსრულებლობის მოტივით.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სულ მცირე 30 დღის განმავლობაში ვალდებულებების სრულად შესრულებიდან, მაგრამ არაუგვიანეს **2023 წლის 31 დეკემბრისა.**

8.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. კონფიდენციალურობა და ინფორმაციული უსაფრთხოება

10.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას დაიცვას ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის მხრიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

10.2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ან გახადოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერი სახით კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის ან განიხილოს მესამე პირთან ასეთი კონფიდენციალური ინფორმაციის შინაარსი. მიმწოდებელს შეუძლია ასეთი კონფიდენციალური ინფორმაცია შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს საკუთარ თანამშრომლებზე და მხოლოდ იმ თანამშრომლებზე და იმ მოცულობით, რაც საჭიროა მათი მხრიდან ფუნქციების შესასრულებლად.

10.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, ამ მუხლის შინაარსის თავისი თანამშრომლებისთვის გაცნობა და კონფიდენციალურობის მოთხოვნების მკაცრი დაცვა.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მიაწოდოს კონფიდენციალური ინფორმაცია მის ქვეკონტრაქტორებს, რათა მათ შეასრულონ სამუშაოსთან დაკავშირებული ვალდებულებები. კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებამდე ქვეკონტრაქტორებმა მიმწოდებელთან უნდა დადონ კონფიდენციალური ინფორმაციის არ გამჟღავნების შესახებ შეთანხმება, რომელიც შესაბამისობაში იქნება წინამდებარე მუხლთან.

10.5. ამ მუხლის მე-6 პუნქტის დაურღვევლად, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე შეთანხმდება ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შეწყვეტაზე, მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველა ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მათ მიიღეს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ან შეთანხმებით გაანადგურონ ის.

10.7. მომწოდებელი ვალდებულია დაიცვას შემსყიდველის შესახებ ინფორმაციასთან (შემდგომში: ინფორმაცია) დაკავშირებით ISO/IEC 27001 სტანდარტით განსაზღვრული, ქვემოთ მოცემული მოთხოვნები:

ა) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ ელექტრონულ ფორმატში მიწოდებულ ინფორმაციაზე განახორციელოს ლოგიკური ან ფიზიკური წვდომის კონტროლი, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა.

ბ) მომწოდებელი ვალდებულია სებ-ის მიერ მატერიალური ფორმით მიწოდებული ინფორმაცია შეინახოს უსაფრთხოდ, რათა არ დაირღვეს ინფორმაციის კონფიდენციალობა, ხელმისაწვდომობა და მთლიანობა.

გ) მომწოდებელი ვალდებულია წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან უმოკლეს ვადებში, ელექტრონული ან/და მატერიალური სახით არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გაანადგუროს ისე, რომ არ მოხდეს მისი აღდგენა, რათა არ გახდეს ხელმისაწვდომი არაავტორიზებულ პირთათვის.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 12. დავათა განხილვის წესი
12.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. შრომის უსაფრთხოება
13.1 მიმწოდებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ შემსყიდველთან ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობისას იცავს შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და იღებს ყველა საჭირო და პროპორციულ ზომას, რათა უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოება შემსყიდველის სამუშაო სივრცეში.
13.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის სამუშაო სივრცეში დაიცვას შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნები და მისი მითითებები/ინსტრუქციები, რომელსაც დეტალურად გაეცნო ამ ხელშეკრულების გაფორებამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი თავისუფლდება ყველანაირი პასუხისმგებლობისგან

მუხლი 14. ზოგადი დებულებები
14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
14.2. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
14.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ვახტანგ ბურკიაშვილი	**ჯემალი ბერიძე**
საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელი დირექტორი	ფიზიკური პირი
ბ.ა.	ბ.ა.

ინვენტარული №199/04 ბერიძის ჯემალისა
ნ. ბერიძე ბ. ბერიძე ნ. ...
ა. მელიქაშვილი ბ. ...ი ...ი
ნ. ...ი ...

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.თბილისი 16 ივნისი 2023 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ მათი მონაწილეობა საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის შენობაში (მდებარე, ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის N27 ში) ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის პროცესში (მიმწოდებელი ფ/პ ჯემალი ბერიძე) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ბურკიაშვილი

შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი თორნიკე ებანოიძე

ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ბექა ბარბაქაძე

ლოჯისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ბაკურ არზიანი